



977/3-26/22 2 04022022



977/3-26/22

04-02-2022

ქალაქ თბილისის მერს

ბატონ კახა კალაძეს

ბატონო კახა,


საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 148-ე მუხლის შესაბამისად, გთხოვთ, ამავე მუხლით დადგენილ ვადაში, მომაწოდოთ შემდეგი ინფორმაცია:

1. 2010 წლიდან 2022 წლის ჩათვლით, ყოფილი ძველი თბილისის რაიონის ტერიტორიაზე, რამდენი ისტორიული შენობა-ნაგებობის რეაბილიტაცია განახორციელა თბილისის მერიამ ?
2. ამავე პერიოდში, ყოფილი ძველი თბილისის რაიონის ტერიტორიაზე მდებარე ისტორიული შენობა-ნაგებობის რეაბილიტაციისთვის რა თანხა დაიხარჯა ჯამში ?
3. დღეის მდგომარეობით, ჯამში რამდენი განაცხადია შემოსული თბილისის მერიაში, ყოფილი ძველი თბილისის რაიონის ტერიტორიაზე, ისტორიული შენობა-ნაგებობის რეაბილიტაციის მოთხოვნით ?
4. დღეის მდგომარეობით, ყოფილი ძველი თბილისის რაიონის ტერიტორიაზე, რამდენი და რა კატეგორიის ავარიული ისტორიული შენობა-ნაგებობაა ?

პატივისცემით,

პარლამენტის წევრი  
ალექსანდრე ელისაშვილი

ა. ელისაშვილი



წერილის ნომერი: **80-01220492431**  
თარიღი: **18/02/2022**  
პინი: **6737**

ადრესატი: საქართველოს პარლამენტი

გადაამოწმეთ: [document.municipal.gov.ge](http://document.municipal.gov.ge)

## საქართველოს პარლამენტის წევრს

### ბატონ ალექსანდრე ელისაშვილს

#### ბატონო ალექსანდრე,

ა(ა)იპ „თბილისის განვითარების ფონდში“ განხილულ იქნა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიიდან გადმოგზავნილი თქვენი მიმდინარე წლის 4 თებერვლის N977/3-26/22 წერილი, რომელთან დაკავშირებითაც ფონდის კომპეტენციის ფარგლებში გაცნობებთ, რომ 2015 წლიდან დღეის მდგომარეობით რეაბილიტირებულია 155 შენობა-ნაგებობა, საიდანაც 127 დასრულებულია ხოლო 28 შენობა-ნაგებობაზე მიმდინარეობს სარეაბილიტაციო სამუშაოები, აღნიშნული შენობა-ნაგებობების სარეაბილიტაციო მიზნებისათვის გახარჯული თანხა შეადგენს 234,636,038 (ორასოცდაათოთხმეტი მილიონ ექვსას ოცდათექვსმეტი ათას ოცდათვრამეტი) ლარს. აქვე აღსანიშნავია, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 16 აგვისტოს განჩინების საფუძველზე, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის, საგამოძიებო დეპარტამენტის თბილისის მთავარი სამმართველოს, II სამმართველოს მიერ ამოღებულ იქნა ა(ა)იპ - „თბილისის განვითარების ფონდში“ არსებული სრული დოკუმენტაციის დედნები, შესაბამისად ფონდი მოკლებულია შესაძლებლობას მოგაწოდოთ მოთხოვნილი ინფორმაცია 2015 წლამდე. რაც შეეხება თქვენი წერილის მე-3 პუნქტით მოთხოვნილ ინფორმაციას, მასალის დიდი მოცულობის გათვალისწინებით, გეცნობებათ დამატებით მონაცემების დამუშავებისთანავე.

პატივისცემით,

ა(ა)იპ „თბილისის განვითარების ფონდი“

გამოყენებულია კვალიფიციური  
ელექტრონული ხელმოწერა/  
ელექტრონული შტამპი

